საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5363/01
12/06/2020

5363-01-2-202006121020

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 29 მაისს (სამინისტროში რეგისტრირებული ნომრით N7961) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ5+530-ზე მდ. ვახაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულ პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნით N19 (09.03.2020) განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- მდინარე ვახას წყლის მინიმალური, საშუალო მრავალწლიური და საანგარიშო ხარჯის შესახებ ინფორმაცია;
- მდინარე ვახას კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე და წყლის მაქსიმალური დონეები;
- ინფორმაცია მდინარის კვეთის პარამეტრებისა და საერთო წარეცხვის მაქსიმალური მაჩვენებლების შესახებ;
- ინფორმაცია ეროზიულ პროცესებზე და საჭიროების შემთხვევაში ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ;
- გრაფიკულ ნაწილში საპროექტო განივკვეთში მოცემული უნდა იყოს მდინარის კალაპოტის გარეცხვის საანგარიშო დონე, ასევე კალაპოტის სიღრმით გარეცხვაზე გათვალისწინებული მოქნილი ლეიბის მუშა სიგანის შესაბამისი მნიშვნელობა მარაგების გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი Shp ფაილები საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან არ არის ნაჩვენები უშუალოდ ხიდის კონსტრუქცია;
- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში (გვ. 169) მოცემული აეროფოტოსურათი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან არასწორად არის მითითებული საპროექტო ხიდის ნაგებობა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე